საქართველო: ნენსკრა ჰესი

მოთხოვნის ნომერი:

შესაბამისობის მიმოხილვა
მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა
საბოლოო, 2020 წლის 5 აგვისტო

www.ebrd.com

1. მენეჯმენტის რეაგირება

მენეჯმენტი მიესალმება ნენსკრა ჰესის პროექტის გასაჩივრების მექანიზმის (PCM) შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშს და რიგი ქმედებების განსაზღვრის შესაძლებლობას, რათა მოხდეს მენეჯმენტის სამოქმედო გეგმაში (MAP) მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება. ანგარიში დროულია, რადგან MAP–ის გამოცემის მომენტში, პროექტის მშენებლობა ჯერ არ არის დაწყებული და ამიტომ არსებობს პროექტთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელების საკმარისი შესაძლებლობა, რათა მოხდეს პროექტის რისკების კიდევ უფრო შემცირება და პოზიტიური შედეგების განმტკიცება.

მენეჯმენტის ჩათვალა, რომ PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშის მიხედვით, EBRD–ის შესრულების სტანდარტს 7 (PR7) მკვიდრი მოსახლეობის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკით (ESP) კლიენტისთვის ეკლდა მკაფიო მითითებები იმ პროცესის შესახებ, რომელიც აუცილებელია PR7–ის დასაშვებობის კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მიმოხილვამ დაადგინა, რომ პროექტის მიერ გამოყენებული მეთოდი და პროცესი პროექტის რეგიონში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის PR7-ის გამოყენებადობის შესაფასებლად არ შეესაბამებოდა კარგ საერთაშორისო პრაქტიკას (GIP).

მენეჯმენტი მიესალმება PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის მტკიცებას, რომ შეუსაბამობის დასკვნები ეხება PR7–ის გამოყენებადობის შეფასების პროცესს და არა თავად შეფასების შედეგს. მენეჯმენტი ასევე დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ PR7-ის გამოყენებადობის შეფასება აღიარებულია, როგორც პირველი საქართველოში, არა მხოლოდ EBRD-თვის, არამედ ყველა სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისთვის და აწესებს ახალ სტანდარტებს პროექტის დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე საპასუხოდ.

მენეჯმენტს სურს ისარგებლოს ამ შესაძლებლობით და კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ საკითხი - სვანები უნდა ჩაითვალონ თუ არა მკვიდრ მოსახლეობად, არ წამოწეულა ნენსკრას პროექტამდე არც ერთი მხარის მიერ, საქართველოსა, თუ მის ფარგლებს გარეთ. აქამდე, PR7 არ ითვლებოდა რელევანტურად იმ ქვეყნებში, სადაც EBRD ოპერირებს - გარდა რუსეთის ფედერაციისა. PR7–ის გამოყენებადობის შეფასება, გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების (ESIA) ფარგლებში, შესაბამისად, უკვე ცდება ჩვეულ სამოქმედო პრაქტიკას.

როგორც გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესმა და შემდგომმა საჩივარმა აჩვენა, PR7-ის გამოყენებადობა სენსიტიური საკითხია და საქართველოში მისი გამოყენება დღემდე არ მომხდარა. PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის მიერ გაცემული რეკომენდაციები მოითხოვს მესამე მხარეების თანამშრომლობასა და შეთანხმებას და მენეჯმენტი შეეცდება, ხელი შეუწყოს ამ დისკუსიებს PCM-ის რეკომენდაციების შედეგის მისაღწევად. მენეჯმენტმა დანიშნა დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტის რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს რეკომენდაციების ამ ელემენტების მაქსიმალური განვითარება საჭირო შედეგის მისაღწევად.

მენეჯმენტი აღნიშნავს, რომ EBRD-იმ შეასწორა 2019 წელს გამოქვეყნებული ESP, რაც გულისხმობდა PR7-ის (დანარჩენ PR-ებთან ერთად) მნიშვნელოვან განახლებას. გარდა ამისა, შედგენილია სახელმძღვანელო მითითება 2019 წლის PR7–ის შესახებ და საბოლოო ვერსია დამტკიცდება EBRD–ის დირექტორთა საბჭოს მიერ ამ MAP–ის მიღებისთანავე. მზადდება დამატებითი შიდა საუკეთესო პრაქტიკის დოკუმენტები და პროცედურები ამ PCM–ის ფარგლებში წამოჭრილ სხვა საკითხებზე, რაც მოიცავს გენდერს, კულტურულ მემკვიდრეობასა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, რათა ხელი შეუწყონ აღნიშნულ MAP–ში შემოთავაზებული ქმედებების განხორციელებას. ეს აჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს საჩივრის ძირითადი თემების განხილვასთან და შედეგად მიღებული შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციებთან მიმართებით.

მენეჯმენტმა ამ MAP–ში დაწვრილებით აღწერა მთელი რიგი მოქმედებები, PCM-ის შესაბამისობის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების გადასაჭრელად. ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკულ გზებზე, რომლითაც შესაძლებელია რეკომენდაციების მიზანებისა და სასურველი შედეგების მიღწევა. მენეჯმენტი სიამოვნებით ადასტურებს, რომ MAP–ით განსაზღვრული მრავალი მოქმედება უკვე მიმდინარეობს და მათი დახურვა შესაძლებელია PCM-ის შესაბამისობის განხილვის პროცესის დასრულებისთანავე ან მონიტორინგის პირველ პერიოდში. MAP–ის სამოქმედო რამდენიმე პუნქტის დასრულება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპანიასთან შეთანხმდება დაფინანსების ხელშეკრულება და ეს შესაბამისად არის მითითებულია; MAP–ის მომზადების მემენტში, სესხის ხელშეკრულება ჯერ არ არის ხელმოწერილი.

EBRD მოწოდებულია მჭიდროდ ითანამშრომლოს პროექტის პარტნიორებთან, თანადამფინანსებლებთან და პროექტის სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა დროულად მოხდეს PCM რეკომენდაციების გათვალისწინება.

ეს არის MAP-ის საბოლოო ვერსია, რომელიც შესწორდა EBRD-ის აუდიტის კომიტეტში 2020 წლის 16 ივლისს მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და დირექტორთა საბჭოს მხრიდან გაუპროტესტებლობის დადასტურების პერიოდში.

2. მენეჯმენტის სამოქმედო გეგმა

მოქმედებები რეკომენდაციების შესასრულებლად, რათა სისტემურ და პროცედურულ დონეზე მოხდეს EBRD–ის შეუსაბამობის მოგვარება

PCM-ის რეკომენდაცია 1
EBRD–ის კლიენტებისადმი არსებული მოთხოვნებისთვის ჩამოყალიბდეს სისტემური კონტროლის ინსტრუმენტი, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უკეთ უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების ეფექტურად განხორციელება ESP–ის შესაბამისობასთან მიმართებით.
მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 1-ზე
მანამდე, ESIA–ების განხილვისას და კლიენტისა და პროექტის შეფასებისას, EBRD თვალს ადევნებდა მიმოხილვას, კოორდინაციას უწევდა კომენტარებს ყველა დამფინანსებლის სახელით და მონიტორინგს უწევდა შეთანხმებების განხორციელებასა და შეთანხმებულ მოქმედებებს დამოუკიდებელი დამფინანსებლების გარემოს დაცვის და სოციალური კონსულტანტების მეშვეობით. მან მონიტორინგი გაუწია დახურვას ფორმალური ქმედების კონტროლის საშუალებით და გამოიყენა სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომლებიც განსხვავდებოდა პროექტების მიხედვით, როგორიცაა ცხრილები, დოკუმენტები, საქმესთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები (data-rooms?) და სხვა. PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვამ დაასკვნა, რომ ეს პროცესი არ იყო საკმარისად აქტიური ნენსკრას პროექტის შეფასებისას და შესაბამისად, EBRD პასუხისმგებლობას იღებს პროექტის შეფასების ამ ელემენტზე, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრული მიდგომა.
მენეჯმენტის მოქმედება 1
(i) EBRD–ის კლიენტებისადმი მოთხოვნებისთვის შემუშავდეს და განხორციელდეს სისტემური დაკვირვების მექანიზმი, რაც ბანკის მენეჯმენტს საშუალებას მისცემს უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების დროულად განხორციელება ESP–ის შესრულებასთან მიმართებით. ეს სისტემა იქნება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტის (ESD) უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი და გამოყენებული იქნება ყველა A კატეგორიის პროექტისთვის, რაც საშუალებას მისცემს ჩაწეროს, თვალყური ადევნოს და დახუროს კლიენტებისთვის მიწოდებული მიმოხილული კომენტარები. **უკანასკნელი ვადა:** ინსტრუმენტი შემუშავებულია A კატეგორიის პროექტებისთვის და მიღებული იქნება დაუყონებლივ გამოყენებისთვის. ეს პუნქტი დაიხურა და ამ ახალი მექანიზმის გამოყენების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება პირველი ანგარიშგების პერიოდში.

PCM-ის რეკომენდაცია 2

შეიმუშავეთ მკაფიო, დეტალურად გაწერილი სახელმძღვანელო პოლიტიკა კლიენტებისთვის ESP-ის PR7-ის მკვიდრი მოსახლეობის შესრულების სტანდარტების ეფექტური შეფასების მიმართულებით (2014 ESP-თვის და ასევე, სხვა ESP-ის განმეორებებისათვის). სახელმძღვანელო მითითებები უნდა შემუშავდეს თანამონაწილეობის პროცესის საშუალებით - მასში ჩართული უნდა იყოს მკვიდრი მოსახლეობის საკითხების არაერთი აღიარებული ექსპერტი და სამოქალაქო საზოგადოებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლები - და გათვალისწინებული უნდა იყოს კარგი საერთაშორისო პრაქტიკა (GIP), რომელსაც იყენებენ როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ისე კერძო სექტორი. ეს სახელმძღვანელო მითითებები უნდა მოიცავდეს (i) კონკრეტულ რეკომენდაციებს GIP მეთოდოლოგიიდან, რომლებიც უზრუნველყოფს PR7–ის შესრულების სტანდარტების მკაცრად შეფასებას; (ii) კონკრეტული პროცესები და ზომები PR7-ის გამოყენების პროცესში კლიენტების სახელმძღვანელოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მკვიდრი მოსახლეობა არ არის აღიარებული ეროვნულ დონეზე.

კერძოდ, სახელმძღვანელოდ საჭიროა:

(ii) შემუშავდეს კონკრეტული GIP მეთოდოლოგია, რომელთაც გამოიყენებენ კლიენტები, რათა უზრუნველყოფილ იქნას PR7–ის შესრულების სტანდარტების მკაცრი შეფასება. EBRD–ის ყველა პროექტში, სადაც შეიძლება მკვიდრი მოსახლეობის საკითხები ჩაითვალოს რელევანტურად, ბანკის მენეჯმენტს უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ კლიენტები დაიცავენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საუკეთესო პრაქტიკას (აღწერილია ნაწილში 4.1.3), იმის საჩვენებლად, რომ მათ:

- შეეცადნენ მრავალი ექსპერტისგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, შეეგროვებინათ მაქსიმალური ინფორმაცია იმის შესაფასებლად, ჩაითვლება თუ არა ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობად, ამასთან
- თავად გაუწიეს კონსულტაციები შესაბამის ჯგუფებს სხვადასხვა PR7-ის კრიტერიუმების გამოყენების შესახებ.

(iii) შეიმუშავეს კონკრეტული პროცესები და ზომები, რომლებიც კლიენტებს PR7–ის გამოყენებაში ეხმარება იმ შემთხვევებში, როდესაც მკვიდრობა ეროვნულ დონეზე არ არის აღიარებული, ისე, რომ შესრულდეს ბანკის 2014 წლის ESP-ის (ან შესაბამისი ESP) ვალდებულებები და დაეხმაროს კლიენტებს პოტენციური რისკების შემცირებაში, რომელიც დაკავშირებულია ასეთ შესწავლასთან.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 2-ზე

როგორც ამ MAP–ის შესავალ ნაწილებშია მითითებული, PR7 მკვიდრი მოსახლეობის შესახებ, სულ რამოდენიმე პროექტში განხორციელდა და არც ერთი რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ EBRD გასცდა სტანდარტულ პრაქტიკას ნენსკრა ჰესის პროექტის შემთხვევაში, რადგან კლიენტისგან ითხოვდა ჩაეტარებინა PR7-ის გამოყენებადობის შეფასება, როგორც სოციალური ზემოქმედების

შეფასების ნაწილი, შესაბამისობის მიმოხილვამ დაასკვნა, რომ ეს გამოყენებადობის შეფასება არ იყო საკმარისად აქტიური. კერძოდ, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ პირები, რომლებზეც პროექტმა მოახდინა ზეგავლენა კონკრეტულად უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი PR7-ის გამოყენების კრიტერიუმების ნამდვილობის შეფასების პროცესში, ვიდრე ანალიზის დასრულების შემდეგ მომხდარიყო შეფასების შედეგების შესახებ კონსულტაცია.

მენეჯმენტი მიესალმება განმარტებას, რომ ეს დასკვნა უფრო პროცესს უკავშირდება, ვიდრე თავად შეფასების შედეგს. გარდა ამისა, მენეჯმენტი აცხადებს, რომ დეტალური სახელმძღვანელო მითითებების არარსებობის შემთხვევაში, EBRD-ის კლიენტების მიერ PR7 შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას სხვადასხვაგვარად. ამასთან, თითოეული დამფინანსებლის გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) დოკუმენტებში პოლიტიკის მოთხოვნებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინება კლიენტისთვის რთული პროცესია. ეს ცხადი გახდა შესაბამისობის მიმოხილვების განსხვავებული დასკვნების შედეგად, რომელიც ჩატარდა პროექტში მონაწილე სამი ინვესტორისთვის (ADB, EIB და EBRD).

PR7 განახლდა 2019 წლის ESP–ში, როგორც ნენსკრა ჰესის პროექტის, ასევე 2019 წლის ESP-ის მიმოხილვის კონსულტაციის პროცესში მიღებული შესაბამისი კომენტარების შესაბამისად. გარდა ამისა, დადგინდა, რომ საჭიროა PR7 სახელმძღვანელო შენიშვნა 2019 წლის განახლების ფონზე და საჭირო იქნება ნენსკრას პროექტის შეფასებისა და შემდგომი PCM შესაბამისობის განხილვის შედეგების გათვალისწინება.

მენეჯმენტმა დანიშნა IP სპეციალისტი, რომელიც დაეხმარება PR7-ის სახელმძღვანელო მითითების შემუშავებასა და დასრულებაში, ხოლო მითითების შემუშავება ძირითადად დასრულებულია. EBRD-ის PR7 სახელმძღვანელო მითითება ეფუძნება მიმდინარე GIP–ის საფუძვლიან მიმოხილვას, რაც დადგენილია საერთაშორისო ოქმებით, MDB–ის მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკითა და სახელმძღვანელო მითითებებისა და ინდუსტრიისა და დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებებით. სახელმძღვანელო მითითების შემუშავება ასევე მოიცავდა ფართო კონსულტაციებს არასამთავრობო ორგანიზაციების, MDB-ისა და კერძო სექტორის სოციალური განვითარების სპეციალისტებთან, ასევე მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლებთან.

შესაბამისობის განხილვის ანგარიშიდან გამომდინარე, სახელმძღვანელო მითითების განხილვისა და დასრულებისას ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ სფეროებზე:

(iv) GIP–ზე დაყრდნობით, კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავება PR7-ის გამოყენებადობის შეფასებისთვის;

(v) შეიმუშავებს სპეციფიკურ პროცესებსა და ზომებს, რომლებიც კლიენტებს უხელმძღვანელებს PR7–ის გამოყენებაში იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნულ დონეზე არ არის აღიარებული მკვიდრი მოსახლეობა;

(vi) მონაწილეობითი პროცესის გამოყენება, რომელშიც ჩართულია მრავალი IP ექსპერტი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია და ინდუსტრიის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო შენიშვნის მონახაზი მოიცავს თითოეულ ამ საკითხს, საჭიროების შემთხვევაში, იგი საფუძვლიანად განიხილება და განმტკიცდება, შესაბამისობის განხილვიდან შემუშავებული ამ და სხვა რეკომენდაციების სრულად გათვალისწინების მიზნით.

მენეჯმენტის მოქმედება 2

(vii) 2019 წლის ESP–ისა და ახალი PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნაში შესწორებული PR7–ის ხარვეზის ანალიზის ჩატარება, რომელიც ამჟამად მზადების პროცესშია, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით, ყველა ელემენტის ჩართვის უზრუნველსაყოფად. PR7-ის სახელმძღვანელო შენიშვნის დაასრულება და გამოქვეყნება.

ბოლო ვადა: სახელმძღვანელო შენიშვნა გადაეცემა EBRD– ის დირექტორთა საბჭოს განსახილველად და შემდგომ გასაჯაროვდება. მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეა და პირველ მონიტორინგის პერიოდში დაიხურება.

PCM-ის რეკომენდაცია 3

მაშინ როდესაც, მესამე მხარეა პასუხისმგებელი არიან პროექტის ადგილმდებარეობაზე, დიზაინსა და ალტერნატივების შეფასებაზე, თანმიმდევრულად მოსთხოვონ კლიენტებს, მიმართონ შესაბამის მესამე მხარეებს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავდეს გარემოს დაცვის და სოციალურ საკითხებს. ბანკის მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს ბანკისა და კლიენტის მოთხოვნების დოკუმენტირება.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 3-ზე

ხშირად, EBRD პროექტის შეფასებას იწყებს, როდესაც ალტერნატივები განხილულია და პროექტის კონცეფცია განსაზღვრული და ნებადართულია. მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატივების შეფასება უნდა იყოს შეტანილი პროექტის ESIA–ში PR1–ის შესაბამისად, შესაბამისობის მიმოხილვამ დაასკვნა, რომ ეს მუდმივად უნდა იქნას გამოყენებული და სტანდარტიზებული იქნას პროექტის ალტერნატიული შეფასებების მეთოდოლოგია. მენეჯმენტი ხაზს უსვამს, რომ ეს შეფასება შემოიფარგლება მხოლოდ პროექტის დონის ალტერნატივებით და არ ვრცელდება სტრატეგიული დონის ვარიანტებისა და სცენარების განხილვასა და შედარებაზე.

მენეჯმენტი გვთავაზობს ამ რეკომენდაციის გათვალისწინებას, ალტერნატივების ანალიზისთვის კარგი საერთაშორისო პრაქტიკის განსაზღვრით, როგორც გარემოსა და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ნაწილი და ასეთი GIP–ის გათვალისწინებას ყველა მომავალ პროექტში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში უკვე არის საკმარისი მასალა ამ განმარტების შესაქმნელად და მასზე დაყრდნობით მოხდება კონსოლიდაცია შიდა სახელმძღვანელო მითითებების შექმნის მიზნით.

მენეჯმენტი, ასევე, იღებს ვალდებულებას გამჭვირვალედ გაუმჟღავნოს საზოგადოებასა და დირექტორთა საბჭოს, როდესაც ალტერნატივების განხილვა უკვე დასრულებული იქნება ბანკის პროექტში ჩართვის დროისთვის და ბანკის მიერ, GIP–თან მიმართებით განხორციელებული, ალტერნატივების ანალიზის მიმოხილვის დასკვნები.

მენეჯმენტის მოქმედება 3

(viii) განსაზღვრეთ კარგი საერთაშორისო პრაქტიკა ალტერნატივების შესაფასებლად და მიიღეთ ეს, როგორც შიდა სახელმძღვანელო, როგორც ESD–

ის უზრუნველყოფის ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი.

(ix) მოამზადეთ გამჟღავნებისთვის შიდა სახელმძღვანელო მითითებები, როდესაც ალტერნატივების ანალიზი უკვე განხორციელებული იქნება ბანკის პროექტში ჩართვამდე და ბანკის მიერ GIP-ის მიმართ ასეთი ანალიზის განხილვის შედეგები განხორციელებული იქნება.

ბოლო ვადა: მოქმედების ეს პუნქტები ამჟამად მსვლელობის პროცესშია და დაიხურება პირველი მონიტორინგის პერიოდში.

PCM-ის რეკომენდაცია 4

EBRD-ის ESD-ის გუნდის შესაძლებლობების გაძლიერება გენდერულ საკითხებში და ამ სფეროში ფართო გამოცდილებისა და შესაძლებლობების მქონე გარე კონსულტანტების გამოყენების უზრუნველყოფა.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 4-ზე

EBRD სრულად იღებს ვალდებულებას გაითვალისწინოს გენდერული შეფასების მოთხოვნების სრული პაკეტი მთელი თავისი საქმიანობის განმავლობაში, როგორც ეს არის ასახული EBRD-ის 2019 წლის ESP-სა და მასთან დაკავშირებულ PR-ებში. ეს მოიცავს მკაცრ ვალდებულებას მიიღოს ზომები გენდერზე ნებისმიერი სახის ზემოქმედების ეფექტურად შეფასების, პრევენციისა და მოგვარებისთვის; მათ შორის, არაპროპორციული ზემოქმედება და გენდერული დაუცველობა, ასევე, გენდერული ძალადობა, შევიწროება, შეურაცხყოფა, ბულინგი, დაშინება და/ან ექსპლუატაცია.

მომუშავეთა დაცვისა და საჩივრების მექანიზმებისთვის დამახასიათებელი დამატებითი გენდერული ნიშნით ძალადობისა და შევიწროების (GBVH) მოთხოვნები, ასევე, საზოგადოების უსაფრთხოება, ეფექტურად მოვახდინოთ EBRD–ის GBVH სტანდარტების შემუშავება არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით.

EBRD–იმ შეიმუშავა განხორციელების გონივრული ჩარჩო, რომელიც მხარს დაუჭერს პროექტის შეფასებისას GBVH–თან დაკავშირებული რისკების სისტემური სკრინინგის საჭიროებას და გააუმჯობესა შემარბილებელი გეგმები და მონიტორინგი, და ეს უკვე მიღებულია ESD–ის მასშტაბით. გარდა ამისა, 2019 წლის განმავლობაში EBRD-ის თანაავტორობით კერძო სექტორისთვის გამოქვეყნდა კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო მითითება. ტრენინგები ჩაუტარდათ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების დეპარტამენტისა (ESD) და EBRD-ის სხვა თანამშრომლებს GBVH–თან დაკავშირებული ახალი მოთხოვნების განხორციელებისთვის შესაძლებლობების შესაქმნელად. კარგი პრაქტიკის შესახებ მითითების გამოქვეყნება და დამატებითი ტრენინგი დაგეგმილია 2020 წლის მეორე კვარტალში.

გარდა ამისა, EBRD გეგმავს შეიმუშაოს შიდა სახელმძღვანელო მითითება უფრო ფართო გენდერული საკითხებისთვის, რომელიც დაეფუძნება ახალ პოლიტიკას და PR–ებს, რათა ხელი შეუწყოს გენდერულ რისკებსა და ზეგავლენაზე ESD–ის შეფასებას პროექტის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებში. დაბოლოს, GBVH-ის სპეციალისტ კონსულტანტებთან ამჟამად გაფორმებულია სპეციფიური (call-off) ხელშეკრულება მიმდინარე შესაძლებლობების განვითარების, ტრენინგისა და პროექტთან

დაკავშირებული სამუშაოებისთვის, საჭიროების შემთხვევაში.
მენეჯმენტის მოქმედება 4
(x) გენდერული ძალადობისა და შევიწროების იდენტიფიკაციისა და მენეჯმენტის ინსტრუქცია ამჟამად დასრულების პროცესშია და გამოქვეყნდება EBRD-ისა და კლიენტების მიერ გამოყენებისთვის. **უკანასკნელი ვადა:** GBVH-ის სახელმძღვანელო მითითებები ამოქმედდება 2020 წლის ივნისის ბოლოს. ეს ქმედება დაიხურება მონიტორინგის პირველი პერიოდის განმავლობაში. (xi) შემუშავებულია GBVH-ის რისკების სკრინინგის ინსტრუმენტები და 2019 წელს ESD-ის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი გენდერულ ძალადობასა და შევიწროებაზე. GBVH–ის შესახებ დაგეგმილია დამატებითი ტრენინგი GBVH-ის სახელმძღვანელოს გამოქვეყნების შემდეგ. **უკანასკნელი ვადა:** ქმედება დასრულებულია და დამატებითი ტრენინგი ჩატარდება 2020 წლის მეორე ნახევარში და პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგება მოხდება მონიტორინგის პირველ პერიოდში. (xii) შემუშავდება შიდა სახელმძღვანელო უფრო ფართო გენდერულ საკითხებზე 2019 წლის ESP-ისა და მასთან დაკავშირებულ შესრულების სტანდარტებზე დაყრდნობით და ESD-ის ჩაუტარდება ტრენინგი, რაც პროექტებში გენდერული საკითხების / რისკების მოგვარებაში დაეხმარება. **უკანასკნელი ვადა:** ეს ამოცანა შესრულდება მონიტორინგის პირველი პერიოდის განმავლობაში.

მოქმედებები პროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გადასაჭრელად, პროექტის განხორციელების შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად

PCM-ის რეკომენდაცია 5
გადაიდგას ნაბიჯები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნენსკრა ჰესის პროექტისთვის ჩატარდეს PR7-ის შესრულების სტანდარტების გაფართოებული შეფასება, რომელიც აერთიანებს შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიშში აღწერილ IFI GIP მეთოდოლოგიას, მათ შორის ა) შეხედულებებისა და ექსპერტიზის მრავალფეროვნება და ბ) საზოგადოების კონსულტაცია ESP PR 7-ის დასაშვებობის თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით.
მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 5-ზე
როგორც მითითებულია MAP-ის ქმედების 2-ე პუნქტში, მკვიდრი მოსახლეობის შესახებ PR7-ის გამოყენებადობის შეფასება ამ ეტაპამდე ძალიან ცოტა პროექტში განხორციელდა და არასდროს განხორციელებულა პროექტებზე რუსეთის ფედერაციის გარეთ. იმ დროს, როდესაც EBRD გასცდა სტანდარტულ პრაქტიკას ნენსკრა ჰესის

პროექტის შემთხვევაში, კლიენტისგან PR7-ის გამოყენებადობის შეფასების ჩატარების მოთხოვნით, როგორც გარემოზე და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილი და ეს შეფასება განიხილა მრავალმა დამოუკიდებელმა მხარემ, შესაბამისობის მიმოხილვამ დაასკვნა, რომ ეს გამოყენებადობის შეფასება არ იყო საკმარისად ეფექტური. კერძოდ, შესაბამისობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ პროექტის შედეგად დაზარალებული პირები უნდა ყოფილიყვნენ ჩართულები PR7-ის გამოყენებადობის კრიტერიუმების ნამდვილობის შეფასების პროცესში, ვიდრე ანალიზის დასრულების შემდეგ შეფასების შედეგების შესახებ კონსულტაცია მიეღოთ.

მენეჯმენტი ჩაერთო ნენსკრა ჰესის პროექტის ჯგუფთან და უფრო ფართო დამფინანსებელ ჯგუფთან მუშაობაში, რათა დაიწყოს PR7-ის გამოყენებადობის შეფასების ხელახლი შეფასების პროცესი, რომელიც შესრულდა, როგორც ESIA–ს ნაწილი და პროცესი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ეს შეფასება. გარდა ამისა, მენეჯმენტმა დანიშნა პროექტისგან დამოუკიდებელი საერთაშორისო IP სპეციალისტი, რათა EBRD-ის, სხვა დამფინანსებლებს და კლიენტს გაუწიოს კონსულტაცია ამ რეკომენდაციის შესრულების შესახებ.

PR7-ის გამოყენებადობის შეფასების ხელახალ შეფასებას გაუძღვება ეს IP სპეციალისტი და ჩატარდება ორ ფაზად:

(xiii) <u>პირველი ფაზა (2020 წლის მაისი):</u> პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრები სვანების სოციალურ-კულტურული მახასიათებლების სამაგიდო კვლევა უკვე მომზადებული ანგარიშების გამოყენებით და ახალ მასალებზე წვდომით და

(xiv) <u>მეორე ფაზა (დრო ექვემდებარება Covid-19-ის შეზღუდვებს):</u> საველე შესწავლა IP სპეციალისტს საშუალებს მისცემს ეწვიოს პროექტის ადგილს საქართველოში და უშუალოდ დაუკავშირდება პროექტით დაზარალებულ სვანებს, ასევე, კლიენტს, მთავრობის ოფიციალურ პირებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და სხვა მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებს. კვლევის ჩასატარებლად, როგორც GIP, ასევე PCM რეკომენდაციების შესაბამისად, მეორე სპეციალისტი - ეთნოგრაფი, რომელიც იცნობს ქართულ საზოგადოებას და კულტურას - შეუერთდება IP სპეციალისტს საველე კვლევის დროს.

პროცესის ძირითადი ნაბიჯები მოიცავს:

<u>პირველი ფაზა (სამაგიდო კვლევა)</u>

(xv) ეთნოგრაფიული მონაცემების მიმოხილვა.

(xvi) ინტერვიუები ქართულ ეთნოგრაფიულ საკითხებზე IFI-ის შესაბამისობის მიმოხილვის მექანიზმის ექსპერტებთან, დამფინანსებელთა სოციალურ პერსონალთან, კლიენტის სოციალურ პერსონალთან, გარე ექსპერტებთან.

(xvii) შუალედური შენიშვნის მომზადება გამოყენების შესახებ, მათ შორის, იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც მეტი ინფორმაციაა საჭირო (სამომავლო საველე კვლევა)

<u>მეორე ფაზა (საველე კვლევა):</u>

(xviii) უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების

	თვალსაჩინოების განხილვა როგორც საველე კვლევის სახელმძღვანელო მითითება და კონსულტაცია კლიენტებისა და დამფინანსებელთა პროექტის გუნდებთან თბილისში და პროექტის ადგილზე საველე ვიზიტის შესახებ.
(xix)	ქართველი ეთნოგრაფის შერჩევა, რომელიც დაწყვილდება IP სპეციალისტთან, საველე კვლევის ჩასატარებლად.
(xx)	ორი ექსპერტი (და საჭიროების შემთხვევაში პროექტისა და დამფინანსებლის წარმომადგენლები) შეხვდება კლიენტისა და დამფინანსებლის წარმომადგენლებს თბილისში.
(xxi)	ბანკის სოციალური პერსონალი დაესწრება საკონსულტაციო საქმიანობას პროექტით დაზარალებულ ადამიანებთა, რათა უზრუნველყოს მათი ჩატარება დამფინანსებლის მოლოდინის შესაბამისად, მნიშვნელოვანი, თავისუფალი კონსულტაციისთვის.
(xxii)	ექსპერტები იდენტიფიცირებას მოახდნენ და შეხვდებიან ადგილობრივ მოსახლეობას, მომჩივნებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, სვანური საზოგადოების ლეგიტიმურ წარმომადგენლობით ორგანოებს და დაიცავენ კონფიდენციალურობასა და ანონიმურობას მოთხოვნის შემთხვევაში.
(xxiii)	კონსულტაციები ქართველ ეთნოგრაფებთან IP–ის მახასიათებლებისა და სვანების მოწყვლადობის ხარისხის შესახებ.
(xxiv)	მოამზადეთ და PCM-ს და ბანკის მენეჯმენტს წარუდგინეთ ანგარიში PR7-ის და ESS7-ის გამოყენების შესახებ.

ეს ხელახალი შეფასება მოითხოვს კოორდინაციას და შეთანხმებას პროექტის ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით კი კლიენტთან, პროექტის პარტნიორებთან და საქართველოს მთავრობასთან. უფრო მეტიც, უფრო ფართო PR7-ის გამოყენებადობის შეფასება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ ხელახალი შეფასების ნაწილი – PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციის შესაბამისად – ფართო სვანური თემისთვის (პროექტის არეალის მიღმა) ისე, რომ შემუშავდეს ოფიციალური პოზიციის გამომხატველი განცხადება უფრო ფართო კონტექსტში სვანებისთვის PR7-ის გამოყენების შესახებ. მესამე მხარეებთან შემდგომი განხილვის შედეგიდან გამომდინარე, მენეჯმენტი განაგრძობს თანამშრომლობას PCM-ის ოფისთან, რეგულარული განახლებების მისაწოდებლად და შემდეგი ნაბიჯების განსაზღვრისთვის.

რადგან მსგავსი საჩივრები სხვა დამფინანსებლების მიმართაც წარმოიშვა, EBRD კოორდინაციას გაუწევს ამ მუშაობას და ამ დამფინანსებლებთან სამომავლო საქმიანობას, რათა არ მოხდეს ძალისხმევის დუბლირება და მოხდეს ცალკეული საჩივრის განხილვის პროცესებიდან გამომდინარე შესაძლო კონფლიქტების თავიდან აცილება. EBRD-ის შეუძლია დაადასტუროს, რომ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები ჩაერთვებიან მე-2 ფაზის მომზადებაში შეფასების დასრულებამდე.

მენეჯმენტის მოქმედება 5

(xxv)	კონსულტაციები პროექტის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, პროექტის სპონსორებთან, დამფინანსებლებთან, საქართველოს მთავრობის

შესაბამის დეპარტამენტთან და ამ სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ აღიარებულ ექსპერტებთან შესაბამისი შემდეგი ნაბიჯების დასადგენად პროექტის ESIA–ს და სვანეთში PR7–ის გამოყენების უფრო ფართო შინაარსის კონტექსტში.

(xxvi) **პირველი ფაზის ბოლო ვადა (სამაგიდო კვლევა):** მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეობს და დაიხურება MAP–ის დამტკიცებიდან 3 თვეში.

მეორე ფაზის ბოლო ვადა (საველე კვლევა): მოსალოდნელია, რომ სამოქმედო პუნქტი ამოქმედდება პირველი ფაზის დასრულების შემდეგ და რაც შეიძლება სწრაფად განვითარდება. მოსალოდნელია, რომ ეს პუნქტი დაიხურება MAP–ის დამტკიცებიდან 24 თვის განმავლობაში, ექვემდებარება ყველა მხარის თანამშრომლობას და ეროვნული ხელისუფლების მიერ დაწესებულ Covid-19-თან დაკავშირებულ შეზღუდვებს. მენეჯმენტი უზრუნველყოფს PCM–ის განახლებას ამ პუნქტის განხორციელების შესახებ, MAP–ის მონიტორინგის ფარგლებში.

PCM -ის რეკომენდაცია 6

კუმულაციური ზემოქმედების შეფასებაში (CIA) გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 6-ზე

შესაბამისობის მიმოხილვამ დაადგინა, რომ მეთოდი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ნენსკრას ESIA–ს კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, არ შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას. მენეჯმენტი ჩაერთო პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობაში, რათა უზრუნველყოს ამ რეკომენდაციის შესრულება. ESIA–ს გამოქვეყნების დღიდან, ჩატარდა დამატებითი კვლევები და შესაძლებელია შესაბამისი თავების დამატება, განახლება და ხელახლა გამოქვეყნება ამ რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

მენეჯმენტის მოქმედება 6

(xxvii) მენეჯმენტი გააგრძელებს ურთიერთობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, რათა უზრუნველყოს CIA–ს განახლება და გამოქვეყნება PCM-ის შესაბამისობის ანგარიშის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

უკანასკნელი ვადა: მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეობს და დაიხურება სესხის ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში.

PCM-ის რეკომენდაცია 7

პროექტის ალტერნატივების ანალიზში გამოვლენილი ხარვეზების მოგვარება

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 7-ზე

შესაბამისობის მიმოხილვამ დაასკვნა, რომ მეთოდი, რომლის საფუძველზეც

განხორციელდა ნენსკრას ESIA–ს ალტერნატივების შეფასება (და კერძოდ, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება -გზშ), არ შეესაბამება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას. მენეჯმენტი ჩაერთო პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან მუშაობაში ამ საკითხის გადასაჭრელად. მენეჯმენტის მოქმედების # 3 პუნქტის შედეგები სათანადოდ განიხილება ამ პუნქტის განხორციელებისას და მენეჯმენტი ხაზს უსვამს, რომ ეს შეფასება ფოკუსირებული იქნება პროექტის დონის ალტერნატივებზე და არ ვრცელდება სტრატეგიული დონის ვარიანტებისა და სცენარების განხილვასა და შედარებაზე. ამავე დროს, პროექტის ღირებულება/სარგებლის ანალიზი განვითარდა პარალელურად და ასევე გაგრძელდება კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, იმის ნაცვლად, რომ იყოს ალტერნატივების შეფასების ეკოლოგიური და სოციალური ელემენტების შემადგენელი.

მენეჯმენტის მოქმედება 7

(xxviii) მენეჯმენტი გააგრძელებს თანამშრომლობას პროექტის სპონსორებთან და მათ მრჩევლებთან, MAP-ის მესამე პუნქტის პარალელურად, ალტერნატივების შეფასების მოსაგვარებლად.

(xxix) **ბოლო ვადა:** მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეობს და დაიხურება MAP–ის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში.

PCM-ის რეკომენდაცია 8

გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ფენის ხელშეწყობა, რათა შეაფასოს საკითხები, რომელიც არ არის ამომწურავად მოგვარებული კლიენტის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების მეშვეობით და რათა უზრუნველყოს საკმარისი შემამსუბუქებელი ზომების დადგენა.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 8-ზე

პროექტის ESIA-მ მოიცვა პროცესში გენდერული საკითხების შეფასება და ჩართო ქალები კონსულტაციისა და ინფორმაციის გავრცელების საქმიანობის რამდენიმე ეტაპზე. ESIA ითვალისწინებს გენდერული მოწყვლადობის საკითხებს დასაქმების შესაძლებლობებთან მიმართებით; მემკვიდრეობით მიღებული მკვიდრი მოსახლეობის მიწების რეგისტრაციასა და შეძენას; და სხვა პოტენციურ გენდერული საკითხებს, როგორიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, პოტენციური გენდერული ძალადობა; შევიწროვების რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობის დროს მუშების ნაკადთან და სხვა, განხილულია ESIA-ს სხვადასხვა თავში. შედეგად მიღებულ მენეჯმენტის გეგმებში მითითებულია გენდერულ ზემოქმედებასთან დაკავშირებული შემამსუბუქებელი ზომების ფართო პაკეტი. ასევე, შეტანილი იყო ღონისძიებები ქალთა გაძლიერების ხელშესაწყობად, როგორიცაა დასაქმების მიზნები და ქალთა წარმომადგენლობა (25%) სათემო ინვესტიციის პროგრამის მრჩეველთა კომიტეტში.

კლიენტმა ასევე აიღო ვალდებულება განეხორციელებინა EBRD-ის მიერ მხარდაჭერილი გენდერული/ინკლუზიური ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი ხეობებში მცხოვრები ქალების შესაძლებლობების შესაქმნელად და რეგიონული ინსტიტუციების შესაძლებლობების განსავითარებლად გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი ქალების (და მამაკაცების) პროფესიული მომზადების უზრუნველყოფით.

პროექტის მიერ გენდერულ საკითხებზე აღებული საზოგადოებრივი ვალდებულებების გარდა, მენეჯმენტი აღიარებს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებით ფენას, რათა შეაფასოს საკითხები, რომლებიც არ არის ამომწურავად მოგვარებული ESIA-ს მეშვეობით და უზრუნველყოს საკმარისი შემამსუბუქებელი ზომების დადგენა.

მენეჯმენტის მოქმედება 8

(xxx) შემოთავაზებული ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის განხორციელება გაითვალისწინებს დასკვნებზე რეაგირებას, რადგან ისინი ეხება გენდერულ და ინკლუზიურ თემებს. TC პროექტის პირობები გაზიარებული იქნება PCM-ის ოფისთან და მოიცავს ორ ეტაპიან მიდგომას, პირველი, რომელიც არის გენდერული ზემოქმედების შეფასების დამატებითი ეტაპი და მეორე, თავდაპირველად გათვალისწინებული ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა, რათა გასცდეს EBRD-ის ESP-ის შესაბამისობას.

უკანასკნელი ვადა: პირველი ეტაპი დასრულდება MAP– ის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, ხოლო TC პროექტი კლიენტთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის განმავლობაში (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შესაძლებელია ამ ვადის გადახედვა Covid -19 შეზღუდვების შესაბამისად).

PCM-ის რეკომენდაცია 9

ჩაერთეთ კლიენტთან მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმაში (LALRP) არსებული ხარვეზების მოსაგვარებლად.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 9-ზე

მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა დაიწყოს პროექტის - მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხილვა და გადასინჯვა. ეს სტანდარტული პრაქტიკაა LALRP–ის დახვეწა პროექტის ციკლის განმავლობაში, დიზაინის ცვლილებების, ან პროექტის ობიექტების დეტალური დიზაინის დასრულების გამო, და როდესაც ახალი საკითხები წარმოიშობა და, შესაბამისად, ამ რეკომენდაციის მიღება შევა LALRP–ის განხორციელების ღონისძიებების რუტინულ განხილვაში.

შესაბამისობის მიმოხილვის ზოგიერთი რეკომენდაცია წარმოიშვა Nenskra-ს დამფინანსებლის სხვადასხვა მოთხოვნებსა და LALRP-ს შორის არსებული ნიუანსების შედეგად და ამჟამად ექვემდებარება განხილვას, რათა უზრუნველყოს დამფინანსებლების ჯგუფის ყველაზე მკაცრი მოთხოვნების ამოქმედება. მენეჯმენტი აღიარებს, რომ LALRP-ის გარკვეული ელემენტები გარე მკითხველებისთვის საჭიროებს დამატებით განმარტებას (მაგალითად, 10% საარსებო საშუალების დაკარგვა, როგორც მნიშვნელობის საზომი) და რომ ამის გამოსწორება შესაძლებელია ბუნდოვანების აღმოფხვრით.

მენეჯმენტმა ყურადღებით განიხილა LALRP და მისი დღემდე განხორციელება და დასტურდება, რომ არ არიან და არ იქნებიან დაზარალებული ადამიანები, რომლებიც უხეშად დაზარალდნენ LALRP-ის წინა ფორმულირებით. LALRP–ით აღებული ვალდებულების შესაბამისად, ყველა დაზარალებული ადამიანი მიიღებს კომპენსაციას დაზარალებული აქტივების სრული ჩანაცვლების ღირებულებით. გარდა ამისა,

მსესხებელმა დაადასტურა, რომ ყველა ეკონომიკურად დევნილი მიიღებს საარსებო საშუალებების აღდგენის მხარდაჭერას და ყველა დაზარალებულ დაუცველ ადამიანს აქვს იგივე უფლებები, როგორც სხვა დაზარალებულ პირს და მათ აქვთ დამატებითი ზომების მიღების უფლება მიუხედავად მათ მიწასა და შემოსავლის დონეზე გავლენის მნიშვნელოვნებისა.

EBRD–ს შეუძლია განაცხადოს, რომ პროექტმა მრავალი ღონისძიება უკვე წარმატებით განახორციელა, რაც დამოუკიდებელმა მრჩეველთა კომისიამ დაადასტურა 2019 წლის სექტემბრის ბოლო მონიტორინგის ვიზიტის დროს. პროექტის მონიტორინგმა ასევე დაადასტურა, რომ არც ერთი დაზარალებული პირი არ იყო დაუცველი ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დროს LALRP-ის წინა ფორმულირების შედეგად.

მენეჯმენტის მოქმედება 9

(xxxi) მენეჯმენტი გააგრძელებს მსესხებელთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს LALRP-ის განახლება PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, მათ შორის, უფლებების მატრიცის? (entitlement matrix) სპეციფიკურ ზღვრებზე მითითებების წაშლა.

უკანასკნელი ვადა: მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეობს და დაიხურება მონიტორინგის შემდეგი პერიოდის განმავლობაში.

PCM რეკომენდაცია 10

ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების შემდგომ ეტაპს, რათა დადგინდეს პოტენციური ზემოქმედება არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე პროექტის არეალში, რომელიც სრულად არ არის ასახული კლიენტის გარემოზე და სოციალურ გარემოზე გავლენათა შეფასებაში და შეიქმნას შესაბამისი შემარბილებელი ზომები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებთან კონსულტაციით.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 10-ზე

მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა დაიწყოს მიმდინარე კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასება, მათ შორის, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის.

მენეჯმენტი და კლიენტი ელოდნენ, რომ ამ მოთხოვნების უმეტესობა შევიდოდა დეტალური კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმაში, რომელსაც შეიმუშავებს EPC კონტრაქტორი, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოვლენილი რისკების აღმოსაფხვრელად, შესაბამის ორგანოებთან და ადგილობრივ ხალხთან კონსულტაციით, როგორც რეკომენდებულია PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვაში, პროექტის შესაბამის ეტაპზე. თუმცა, PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვა რეკომენდაციას იძლევა, რომ ეს დაჩქარდეს და რომ ეს რეკომენდაცია განხორციელდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის სხვა რეკომენდაციებთან ერთად. მენეჯმენტი შეეცდება უზრუნველყოს, რომ ეს განხორციელდეს EPC-ის მენეჯმენტის გეგმების შემუშავების წინ, თუკი ეს MAP დამტკიცდება მათ შემუშავებამდე.

შემოთავაზებული კულტურული მემკვიდრეობაზე გავლენის შეფასება და მენეჯმენტის გეგმა ხელს შეუწყობს დამატებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას ადგილობრივი ტრადიციების შესახებ ცნობიერების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით ისე, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და პრაქტიკა გადაეცეს შემდეგ თაობებს, როგორც ნენსკრაში, ისე ნაკრას ხეობაში.

მენეჯმენტის მოქმედება 10

(xxxii) მენეჯმენტი გააგრძელებს კლიენტებთან და მათ მრჩევლებთან ურთიერთობას, რათა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის გავლენის შეფასების განახლება, რათა მოხდეს PCM-ის შესაბამისობის მიმოხილვის რეკომენდაციების გათვალისწინება. განახლებული შეფასება შექმნის EPC-ის მენეჯმენტის გეგმების საფუძველს, რომელიც შემდგომ გადაიხედება პროექტის განხორციელების ადრეულ პერიოდში.

ბოლო ვადა: მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეა და გამოქვეყნებულია და დაიხურება MAP–ის დამტკიცების ხელმოწერიდან 12 თვის განმავლობაში.

PCM რეკომენდაცია 11

დარწმუნდით, რომ 2014 წლის ESP-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად, კლიენტის გარემოს დაცვის და სოციალური გუნდის ყველა წევრი ფლობს საჭირო კომპეტენციასა და შესაძლებლობებს პროექტის სირთულეებისა და სენსიტიურობის სამართავად, ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტების შესაბამისად.

მენეჯმენტის კომენტარი რეკომენდაცია 11-ზე

მენეჯმენტი აცნობიერებს, რომ კლიენტების შესაძლებლობები და უნარი გადამწყვეტია პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის. კლიენტი ამჟამად აფასებს პროექტის გუნდის შესაძლებლობებს და მუშაობას; მან განსაზღვრა ძირითადი პოზიციები, რომლებზეც მოხდება ახალი თანამშრომლების აყვანა. კლიენტს მოეთხოვება შეიმუშაოს შიდა სასწავლო პროგრამა თანამშრომლებისა და EPC-ის კონტრაქტორი თანამშრომლებისთვის პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური ვალდებულებების შესახებ.

EBRD გააგრძელებს თანამშრომლობას კლიენტთან, პროექტის სპონსორებთან და ფართო დამფინანსებელ ჯგუფთან, რათა განიხილოს როგორც კლიენტის ამჟამინდელი შესაძლებლობები, ასევე გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს პროექტის ვალდებულებების სრულად შესრულება ყველა დაინტერესებული მხარის წინაშე. დამატებების ან ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში, ეს დაუყოვნებლივ განახორციელდება კლიენტის მიერ EBRD–თან კონსულტაციით და დამოუკიდებელი კონსულტანტის მეთვალყურეობით.

მენეჯმენტის მოქმედება 11

(xxxiii) მენეჯმენტი თანამშრომლობს კლიენტთან, რათა ჩაატაროს გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის მიმოხილვა და შეაფასოს პროექტის შესაძლებლობების მოთხოვნები სხვადასხვა პროექტის ვალდებულებების შესაბამისად, რათა უზრუნველყოს გარემოს დაცვის და სოციალური მოთხოვნების სრულად ათვისება და განხორციელება. ამ შედეგების შეფასების შედეგები გაზიარდება PCM–ის ოფისთან, მისი განვითარების კვალდაკვალ.

(xxxiv) **ბოლო ვადა:** მოქმედების ეს პუნქტი მიმდინარეა და დაიხურება ამ MAP–ის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში. პროექტის ციკლის განმავლობაში ეს გადაიხედება რეგულარული ინტერვალებით.